დანართი N1

საფუძველი
სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიო
2020 წლის 16 სექტემბრის N02-09/149 ბრძანება

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"
აცხადებს კონკურსს

სტრუქტურული ერთეული: საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახური.
პოზიცია: ოპერატორი
საქმიანობის ადგილი: ბათუმი;
ვაკანტური პოზიცია: 1 (ერთი)
ყოველთვიური ანაზღაურების ოდენობა: შეთანხმებით

ძირითადი მოთხოვნები:

- ✓ უმაღლესი განათლება;
- ✓ მაღალი მოტივაცია;
- ✓ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, მოწესრიგებულობა, დეტალებზე ორიენტირებულობა;
- ✓ დროის ეფექტურად დაგეგმვის უნარი;
- ✓ გუნდური მუშაობის უნარი;

შესასრულებელი სამუშაო:

- ✓ დროულად და ხარისხიანად განახორციელოს მითითებები სამუშაო მასალის მომზადებასთან დაკავშირებით (უშუალოდა პასუხისმგებელი გადაღებული მასალის ვიზუალურ მხარეზე;
- ✓ პროდუქციის შექმნისას (ინტერვიუს ჩაწერის, სიუჟეტის გადაღების და აშ. დროს) უზრუნველყოს ტექნიკური მხარის გამართულობა (განათება, მიკროფონი და აშ);
- ✓ განახორციელოს პრევენციული (წინა მოსამზადებელი) ღონისძიებები, დაგეგმილი ანდა დაუგეგმავი შესასრულებელი სამუშაოების ხარისხიანი (შეუფერხებელი) შესრულებისთვის;
- ✓ მუდმივად იყოს მობილიზებული აუდიო/ვიდეო ჩაწერისათვის;
- ✓ ექსტრემელური და განსაკუთრებული პირობების არსებობისას სიტუაციის ანალიზი და სწორი გადაწყვეტილების მიღება;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში რეპორტიორის სამუშაოს შესასრულება;
- ✓ ასრულებს სამსახურის უფროსის ან უფროსის მიერ განსაზღვრული პირ(ებ)ის მითითებების შესრულება.

ძირითადი მოთხოვნები:

- ✓ ქართული ენის სრულყოფილად ცოდნა;
- ✓ უცხო ენების ცოდნა სასურველია;
- ✓ საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ

- ✓ განცხადება;
- ✓ (CV); - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ ფოტოსურათი;
- ✓ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ სამოტივაციო წერილი (არაუმეტეს 100 სიტყვა);

კონკურსის ეტაპები კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად.

პირველ ეტაპზე კომისია გადაარჩევს კანდიდატების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და დაუკავშირდება მხოლოდ შემდეგ ეტაპზე გადასულ კონკურსანტებს;

მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება. გადაწყვეტილების მიღების ფორმა: განაცხადები განიხილება სპეციალური კომისიის მიერ ქულათა სისტემით. განაცხადები მიიღება 2020 წლის 16 სექტემბრიდან 2020 წლის 24 სექტემბრის ჩათვლით ელექტრონულად (HR@ajaratv.ge).

გადაწყვეტილების მიღების საბოლოო ვადა: 2020 წლის 02 ოქტომბერი.

შენიშვნა:

1. დაინტერესებულმა პირმა გამოგზავნილი ელ-ფოსტის სათაურში (subject) უნდა მიუთითოს სასურველი ვაკანტური პოზიციის დასახელება;

2. კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაცია (მათ შორის განაცხადების რეგისტრაციის შესახებ) დაინტერესებულ პირს მიეწოდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

საკონტაქტო პირი: ემზარ პაქსაძე

საკონტაქტო ინფორმაცია: 577908007

საკონტაქტო ელ-ფოსტა: HR@ajaratv.ge